ხელშეკრულება №217

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური **13 დეკემბერი 2017 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის - **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე მხრივ **ი.მ. ,,მაია კურტანიძე", პ.ნ. 46001010742** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისათვის ელექტრო ღუმელის და ელექტო ჩაიდანის შეძენა
(CPV – 39711361, 39711320)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **185 (ასოთხმოცდახუთი) ლარი.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2

6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2017 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 13 იანვრის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2017 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 13 იანვრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 13 დეკემბრიდან 2018 წლის 13 თებერვლის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705

„მიმწოდებელი“ ---------- მ. კურტანიძე

ი.მ. „მაია კურტანიძე“
პ.ნ. 46001010742
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LBRTGE22
ანგ. №GE86LB0112116419247000

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური 13 დეკემბერი 2017 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ი.მ. ,,მაია კურტანიძეს" (საინ.კოდ 46001010742) შორის 2017 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული N217 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გამარტივებულ შესყიდვაში (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: **ირაკლი კუჭავა**